საბა ტეფნაძე I გიორგი კაციტაძე
თავისუფალი უნივერსიტეტი
stepn23@freeuni.edu.ge I g.katsitadze@freeuni.edu.ge

სპარსეთის, ოსმაღეთისა და რუსეთის იმპერიების პოღიტიკა ახღო აღმოსავღეთის რეგიონში

რეზიუმე

სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში სტრატეგიულ, სამხედრო, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში მიზანმიმართული იყო რეგიონის კონტროლისა და გავლენის გაფართოებისაკენ, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა რეგიონულ ძალთა გადანაწილებასა და თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ლანდშაფტის ფორმირებას. სპარსეთის იმპერია გამოირჩეოდა განვითარებული ადმინისტრაციული სისტემით, რელიგიური ტოლერანტობითა და ვაჭრობის ხელშეწყობით. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა XVI–XVII საუკუნეების სპარსეთ-ოსმალეთის ომებს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რეგიონის ძალთა ბალანსზე. ოსმალეთის იმპერიის განხილვა მოიცავს მის „ოქროს ხანას“, სულეიმან I-ის მიერ ირანში წარმოებულ კამპანიებს, აფრიკაში განხორციელებულ დაპყრობებსა და იმპერიის დაშლას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსეთთან მრავალსაუკუნოვან მეტოქეობას, რომელიც განსაზღვრავდა ორი იმპერიის საგარეო პოლიტიკას და რეგიონულ სტრატეგიას. რაც შეეხება რუსეთის იმპერიას, ნაშრომში განხილულია მისი მცდელობა, დაემყარებინა კონტროლი სრუტეებზე, გაეფართოებინა გავლენა კავკასიასა და ირანში, მონაწილეობა მიეღო „დიდ თამაშში“ ბრიტანეთთან. დასკვნით ნაწილში ნაჩვენებია, რომ სწორედ ამ სამმა იმპერიამ ჩამოაყალიბა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური რუკა, შექმნა თანამედროვე სახელმწიფო სისტემების საფუძველი და დატოვა ისეთი ისტორიული მემკვიდრეობა, რომლის გავლენაც დღემდე შეიმჩნევა რეგიონში არსებულ კონფლიქტებსა და ძალთა ურთიერთობაში.

საკვანძო სიტყვები: იმპერია, ახლო აღმოსავლეთი, პოლიტიკა, ძალთა ბალანსი, ექსპანსია

სპარსეთის იმპერია

სპარსეთის იმპერია, რომელმაც ძალაუფლების პიკს აქემენიანთა დინასტიის მმართველობის პერიოდში (ძვ.წ. 558-330 წწ.) მიაღწია, იყო პირველი ე.წ. გლობალური იმპერია, რომელმაც გააერთიანა ახლო აღმოსავლეთის ფართო ტერიტორიები ერთი პოლიტიკური სისტემის გარშემო. კიროს დიდის მიერ შექმნილი და დარიოს I მიერ გაძლიერებული იმპერია არ წარმოადგენდა მხოლოდ სამხედრო ექსპანსიის პროექტს, იგი ასევე, ეფუძნებოდა გონივრულ ადმინისტრაციულ სისტემას, რელიგიურ ტოლერანტობასა და მრავალფეროვანი ეთნოსების თანაარსებობის პოლიტიკას. სწორედ ამ ყოველივეს ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავინახოთ, თუ როგორ მოახერხა სპარსეთმა რეგიონში ხანგრძლივი გავლენის მოპოვება და როგორ შეიტანა წვლილი ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ დინამიკაში (Stolper 2011).

პოლიტიკური მართვის სტრუქტურა და ადმინისტრაცია

სპარსეთის იმპერიის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში უპირველეს ყოვლისა ეფუძნებოდა რთულად ჩამოყალიბებულ ადმინისტრაციულ სისტემას, რომელიც ეფექტურად მართავდა მრავალეთნიკურ მოსახლეობას. იმპერია იყოფოდა სატრაპიებად ანუ პროვინციებად, რომელთაც სატრაპები მართავდნენ. თითოეული სატრაპია ინარჩუნებდა გარკვეულ შიდა ავტონომიას, თუმცა ემორჩილებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და უხდიდა გადასახადს მეფის კარს. დარიოს I-ის რეფორმებმა ამ სისტემას მოუტანა სტაბილურობა: მან შექმნა იმპერიული ბიუროკრატია, შემოიღო სტანდარტული გადასახადების სისტემა და გაუმჯობესა საკომუნიკაციო არხები, მათ შორის „მეფის გზა“, რომელიც ეფესოსა და სუზას აკავშირებდა (Stolper 2011). ეს გზა არა მხოლოდ სამხედრო ლოჯისტიკისთვის იყო მნიშვნელოვანი, არამედ პოლიტიკურ კონტროლსა და ეკონომიკურ ინტეგრაციასაც უწყობდა ხელს. ასევე, მან სამართალშიც დიდი წვლილი შეიტანა და ხამურაბის კანონთა კრებულის მოდელი წარმოადგინა. თავის მხრივ, ხაბურაბის კანონთა კრებული, რომელიც ბაბილონში ძვ.წ. მე-18 საუკუნეში შეიქმნა, მოიცავდა 282 კანონს.

დაპყრობილი ხალხებისადმი შემწყნარებლობის პოლიტიკა

სპარსელთა პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ადმინისტრაციული ან სამხედრო მიდგომებით, იგი ასევე ეფუძნებოდა კულტურული და რელიგიური ტოლერანტობის პრინციპს. კიროს დიდის ბაბილონის დაპყრობა (ძვ.წ. 539 წ.) ხშირად განიხილება ტოლერანტული მმართველობის თვალსაჩინო მაგალითად. ბაბილონის აღების შემდეგ კიროსმა არ დაარბია ქალაქი, პირიქით, აღიარა ადგილობრივი ღმერთების მნიშვნელობა და უზრუნველყო ებრაელთა იერუსალიმში დაბრუნება - მოვლენა, რომელმაც მათ ისტორიულ ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა (Stolper 2011). ამგვარმა პოლიტიკამ გაზარდა სპარსელთა ლეგიტიმაცია დაპყრობილ რეგიონებში. იმპერიამ არ სცადა კულტურული ასიმილაცია, არამედ აძლევდა მოსახლეობას საშუალებას, შეენარჩუნებინათ საკუთარი რელიგიური და სოციალურ-კულტურული იდენტობა, რაც სტაბილურობის შენარჩუნების ეფექტური მექანიზმი იყო.

რეგიონული სამხედრო სტრატეგია და ომების დინამიკა

სპარსეთის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში მოიცავდა აქტიურ სამხედრო ჩართულობას. აქემენიანთა დინასტია რეგულარულად აწარმოებდა სამხედრო კამპანიებს ეგვიპტეში, სირიაში, ლევანტსა და მცირე აზიაში. მაგალითად, დარიოს I-ის მმართველობისას სპარსეთმა წარმატებით დაამარცხა ეგვიპტე და ინტეგრირება მოახდინა იმპერიის სისტემაში. ამავე დროს, ბაბილონში ხშირი აჯანყებები აჩვენებდა, რომ კონტროლის შენარჩუნება რეგულარული ძალის გამოყენებას მოითხოვდა. სპარსეთის არმია წარმოადგენდა ეთნიკურად მრავალფეროვან ძალას, მის შემადგენლობაში შედიოდნენ მიდიელები, ბაბილონელები, ეგვიპტელები და სხვა ხალხები. ეს მრავალფეროვნება ჰქმნიდა ერთგვარ „მრავალეროვან იმპერიულ იდენტობას“, რომლის მეშვეობითაც სპარსებმა შეძლეს ფართო სამხედრო რესურსების მობილიზება და იმპერიის სტაბილურობის შენარჩუნება (Stolper 2011).

ეკონომიკური და სატრანსპორტო-კომუნიკაციური პოლიტიკა

სპარსეთის იმპერიამ გააძლიერა რეგიონში სავაჭრო გზების ქსელი და ხელი შეუწყო ეკონომიკურ ინტეგრაციას. „მეფის გზა“ იყო არა მხოლოდ პოლიტიკისა და სამხედრო სტრატეგიის, არამედ ეკონომიკური სისტემის საკვანძო ნაწილი. სატრაპიების მოქნილ ეკონომიკურ პოლიტიკას თან ახლდა ერთიანი სავალუტო სისტემა - დარიოს I-ის მიერ შემოღებული დარიკი (ოქროს მონეტა) მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს იმპერიის შიგნით ვაჭრობისა და ფინანსური სტაბილურობის განმტკიცებას (Stolper 2011).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოებისა და სპარსეთის ურთიერთობები, განსაკუთრებით მცირე აზიის რეგიონში, სადაც პოლიტიკური ინტერესები ეკონომიკურ ჩართულობასთან ერთად ვითარდებოდა. ესკალაცია კი საბოლოოდ სპარსულ-ბერძნულ ომებში გადაიზარდა.

კულტურული პოლიტიკა და ისტორიული მემკვიდრეობა

სპარსეთმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახლო აღმოსავლეთის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში. სპარსული არქიტექტურა, ლიტერატურა და ზოროასტრიზმის გავლენა რეგიონში აისახა ადგილობრივ კულტურებზე. თუმცა, სპარსეთის კულტურული პოლიტიკა არ იყო დამთრგუნველი, იგი ეფუძნებოდა სქემატური თანამშრომლობის პოლიტიკას, რომლის მეშვეობითაც ცივილიზაციათა გაცვლა ბუნებრივად მიმდინარეობდა. ეს ყოველივე მკაფიოდ აღინიშნა ტოლერანტული პოლიტიკის განხილვის დროს. სპარსული კულტურული და პოლიტიკური მემკვიდრეობა გადარჩა ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობის შემდეგაც. ელინისტურმა იმპერიებმა გადმოიღეს ბევრი სპარსული პრაქტიკა - სატრაპიული მმართველობა, ბიუროკრატიული სტრუქტურები და სამეფო იდეოლოგია, რაც ნათლად გამოხატავდა სპარსული კულტურული გავლენის სიმძლავრეს.

სპარსეთის იმპერიები

დრო გადიოდა, იცვლებოდა სიტუაცია და მოცემულობა, თუმცა სპარსეთის იმპერიის როლი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მაინც განსაკუთრებულად დიდი იყო. უკვე განვიხილეთ აქემენიანთა იმპერია, მიმოვიხილეთ მისი პოლიტიკა და სახელმწიფოებრივი ხედვები, მაგრამ სპარსეთის იმპერიის ისტორია ბევრად მოცულობითი და კომპლექსურია. შემდგომი ეტაპი იყო სასანიანთა იმპერია, მას მოსდევს სეფიანთა, აფშარიდების და ყაჯარების იმპერიები. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიები ქრებოდნენ და იცვლებოდნენ, სპარსულმა პოლიტიკამ მოახერხა რეგიონის ტრანსფორმაცია და განსაზღვრა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური კულტურა მრავალი საუკუნის განმავლობაში. სპარსეთის იმპერიების მემკვიდრეობა დღემდე შეიმჩნევა რეგიონის ენობრივ, კულტურულ და სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში. სპარსეთის იმპერიის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში იყო მრავალმხრივი და შორსმიმავალი - იგი აერთიანებდა სამხედრო ძლიერებას, დიპლომატიას, კულტურულ გავლენასა და ეფექტურ მმართველობას.

სპარსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში

სპარსეთსა და ოსმალეთს შორის დაპირისპირება XVI–XVII საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ბალანსის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა. კონფლიქტი ძირითადად ორ

ძლიერ იმპერიას შორის ტერიტორიულ, სარწმუნოებრივ და გეოპოლიტიკურ ინტერესთა შეჯახებას განასახიერებდა. ოსმალეთის იმპერია სუნიტურ ისლამზე იყო დაფუძნებული, სპარსეთი კი შიიტურ სახელმწიფოს წარმოადგენდა (Savory 1980), რაც დაპირისპირებას რელიგიურ ელფერსაც აძლევდა. დაპირისპირების ძირითადი არეალი მოიცავდა ერაყს, სირიას, ყარსის სანაპიროსა და სომხეთ-საქართველოს ტერიტორიებს, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო, როგორც სავაჭრო გზების, ასევე სამხედრო უპირატესობის თვალსაზრისით. ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი კონფლიქტი იყო ჩალდირანის ბრძოლა ოსმალებსა და სეფიანთა ირანს შორის (1514), როდესაც ოსმალებმა დაამარცხეს შაჰ ისმაილ I და დაიკავეს ანატოლიის აღმოსავლეთი ნაწილი (Savory 1980). ზავისა და საზღვრების მიუხედავად, დაძაბულობა არ ხსნიდა სიღრმისეულ მეტოქეობას, რადგან კვლავ არსებობდა მიზანი, რომლის მიღწევაც ორივე მხარეს სურდა. ეს დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში არა მარტო სახელმწიფოებს შორის ძალთა გადანაწილებაზე, არამედ ისლამური სამყაროს შიგნით შიიტურ-სუნიტურ ურთიერთობაზეც დიდ გავლენას ახდენდა. საბოლოოდ, სპარსეთ-ოსმალეთის კონფლიქტმა განაპირობა რეგიონის პოლიტიკური მრავალფეროვნება და დაძაბულობის ქრონიკული ხასიათი, რომლის რეზონანსიც დღემდე შეიმჩნევა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტურ რეალობაში.

ოსმალეთის იმპერია

ოსმალეთი იყო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური იმპერია მსოფლიოს ისტორიაში, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე წამყვან ობიექტად ითვლებოდა დაახლოებით ექვსი საუკუნის განმავლობაში (1299-1922 წწ.). მისი გავლენა ვრცელდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან, ჩრდილოეთ აფრიკამდე და ახლო აღმოსავლეთამდე, რაც მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ გლობალურ პოლიტიკურ პროცესებში. იმპერიის პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და რელიგიური სისტემა საშუალებას აძლევდა მას წარმატებით შეენარჩუნებინა კონტროლი სხვადასხვა ტერიტორიასა და კულტურაზე (Barkey 2008).

ოსმალეთის იმპერიის აღმასვლა და გაფართოება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ პროცესებთან. ეს რეგიონი, რომელიც ისტორიულად წარმოადგენს ცივილიზაციების აკვანს, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ოსმალთა სურვილი, დაემყარებინათ კონტროლი წმინდა ისლამურ ქალაქებზე (მექა, მედინა), უზრუნველეყოთ სავაჭრო მარშრუტების დაცვა და დაებალანსებინათ შიიტური სპარსეთის გავლენა, განსაზღვრავდა იმპერიის საგარეო და შიდა პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

იმპერია, რომელმაც სამი კონტინენტი მოიცვა

ოსმალეთის იმპერიამ თავისი ძლიერების პიკს მიაღწია XVI-XVII საუკუნეებში. იმპერიის ეს პერიოდი „ოსმალეთის ოქროს ხანად“ არის ცნობილი. ამ დროს იმპერია მნიშვნელოვნად გაფართოვდა ტერიტორიული თვალსაზრისით, გაძლიერდა მისი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალა და გარდაიქმნა უმსხვილეს რეგიონალურ იმპერიად, რომლის გავლენა ვრცელდებოდა არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთზე, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაზეც.

ოსმალეთის იმპერიის ყველაზე ცნობილი და გავლენიანი მმართველი იყო სულთან სულეიმან I კანონი (მმართველობის პერიოდი - 1520-1566 წწ.). მისი მმართველობის დროს იმპერია პოლიტიკურ, სამხედრო და კულტურულ სფეროებში მნიშვნელოვანწილად განვითარდა. სულეიმანი ხელმძღვანელობდა ოსმალეთის სამხედრო კამპანიებს ცენტრალურ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, რამაც შემდგომში

ფართოდ გაზარდა იმპერიის საზღვრები (Faroqhi 2000). მის დროს ოსმალეთი ფლობდა მნიშვნელოვან ტერიტორიებს, როგორიცაა ბალკანეთი, მცირე აზია, ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი, ეგვიპტე და ჩრდილოეთ აფრიკა.

ამ პერიოდში ოსმალეთის არმია ერთ-ერთ ყველაზე მოწინავედ ითვლებოდა. მისი ძირითადი სამხედრო ძალა, იანიჩარები, მაღალი პროფესიონალიზმით და საბრძოლო ტექნიკით გამოირჩეოდნენ, მათ შორის თურქული საარტილერიო განშტოებით და ცეცხლსასროლი იარაღით (Barkey 2008). ოსმალეთი იყო ერთ-ერთი პირველი იმპერია, რომელმაც თავისი არმია თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვა, რაც მას მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებდა ბრძოლებში.

ეკონომიკურად, იმპერია წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო კვანძს ევროპასა და აზიას შორის. მის კონტროლქვეშ იყო ძირითადი სავაჭრო და საბაჟო გზები, რომლებზეც გადიოდა მარცვლეული, სანელებლები, მატყლი და სხვა ფასეული საქონელი. ოსმალეთის გავლენამ ხელი შეუწყო ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონს ეკონომიკური სტაბილურობის და განვითარების თვალსაზრისით. ,,ოქროს ხანაში'' ოსმალეთი გამოირჩეოდა არქიტექტურით, ხელოვნებითა და ლიტერატურით. კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) ცენტრში აშენდა სულეიმანის მეჩეთი, რომელიც დღემდე აღიარებულია მუსლიმური არქიტექტურის ერთ-ერთ შედევრად.

ოსმალეთის ,,ოქროს ხანის'' დასრულება დაკავშირებულია XVII საუკუნის შუა პერიოდთან, როდესაც იმპერიის სამხედრო და ადმინისტრაციული სისტემები თანდათან დასუსტდა. მიუხედავად ამისა, ამ ეპოქის მიღწევებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ოსმალეთის იმპერიის შემდგომი ისტორია და მისი როლი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

ოსმალეთის იმპერია და ახლო აღმოსავლეთი

ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში მრავალმხრივი და სტრატეგიული იყო. იმპერიის მიზანი რეგიონზე პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური კონტროლის განმტკიცება იყო, რაც უზრუნველყოფდა მის ცენტრალურ პოზიციას ისლამურ სამყაროში. XVI საუკუნიდან მოყოლებული ოსმალებმა დაიპყრეს სირია, პალესტინა, ეგვიპტე, ერაყი და არაბეთის ნახევარკუნძულის ნაწილი. ამ ტერიტორიების დაპყრობა ოსმალეთის იმპერიას საშუალებას აძლევდა დაემყარებინა სრული პოლიტიკური თუ ეკონომიკური კონტროლი რეგიონზე, რაც ნიშნავდა იმპერიის გავლენას ხმელთაშუა ზღვაზე, წითელ ზღვასა და სპარსეთის ყურის მთავარ სავაჭრო გზებზე (Faroqhi 2000).

ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკა რეგიონში ეფუძნებოდა, როგორც სამხედრო ძლიერებას, ისე ადმინისტრაციულ სისტემას - ადგილობრივი ელიტების ინტეგრაციასა და ისლამური კანონის გამოყენებას. აღნიშნულმა იმპერიამ აღადგინა პოლიტიკური სტაბილურობა იმ მიწებზე, რომლებზეც მანამდე ხანგრძლივი არეულობები იყო. ამასთან ერთად, ოსმალეთის მმართველობა ხელს უწყობდა ისლამური კულტურის, არქიტექტურისა და განათლების გავრცელებას.

თუმცა დროთა განმავლობაში ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება თანდათან დასუსტდა. იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში გაჩენილმა ბიუროკრატიულმა კრიზისებმა და ეკონომიკურმა სირთულეებმა ადგილობრივ მმართველებს მეტი ავტონომია მისცა, რაც ცენტრალური კონტროლის დაკარგვას იწვევდა. ამ პროცესთან ერთად, XIX საუკუნიდან ევროპის წამყვანი ძალების, განსაკუთრებით ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა ახლო აღმოსავლეთში. მათი ინტერესები დაუპირისპირდა ოსმალეთის გავლენას რეგიონში, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა იმპერიის შიდა კრიზისებსა და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას. შედეგად, ეს დაპირისპირება ერთ-ერთ გადამწყვეტ მიზეზად იქცა იმპერიის თანდათანობრივი დაშლისა და ევროპული კოლონიური გავლენების საბოლოო განმტკიცების პროცესში.

სულეიმან პირველის ლაშქრობები სპარსეთში

ოსმალეთის სულთანი სულეიმან I დიდებული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის მმართველობის პერიოდში აქტიურად აფართოებდა იმპერიის საზღვრებს, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის ლაშქრობებს სპარსეთის წინააღმდეგ. სპარსეთი, რომელსაც მაშინ მართავდა სეფიანთა დინასტია, იყო ოსმალეთის მთავარი მეტოქე ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით რელიგიური და ტერიტორიული ინტერესების კუთხით. სულეიმანის კამპანიები სპარსეთის წინააღმდეგ წარმოადგენს ორ იმპერიას შორის დაპირისპირების მნიშვნელოვან ეპიზოდს, რომელიც გრძელდებოდა მთელი XVI საუკუნის განმავლობაში.

1526 წელს სულეიმანმა დაიწყო ფართო სამხედრო კამპანია სპარსეთის მიმართულებით, რომლის მიზანი იყო სეფიანთა დინასტიის ტერიტორიების დაპყრობა და ოსმალეთის გავლენის გაფართოება. 1534 წელს სულეიმანმა წარმატებით დაიპყრო დიდი ნაწილი არაბეთისა და სპარსეთის დასავლეთ პროვინციებისა, მათ შორის მესოპოტამია და კარდინალური სტრატეგიული ქალაქები (Savory 1980). ეს ლაშქრობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ოსმალებმა შეძლეს ძალაუფლების გაფართოება მდინარე ტიგროსისა და ევფრატის აუზებში, რაც ხელს უწყობდა კონტროლის დამყარებას სავაჭრო გზებზე.

სულეიმანის ლაშქრობა ირანში არა მხოლოდ სამხედრო წარმატებით გამოირჩეოდა, არამედ სტრატეგიული და რელიგიური მნიშვნელობითაც. ოსმალეთის იმპერია, როგორც სუნიტური ისლამის ცენტრი, სეფიანთა დინასტიას, რომელიც წარმოადგენდა შიიტური ისლამის ძირითად კერას, უპირისპირდებოდა არა მხოლოდ ტერიტორიების მხრივ, არამედ რელიგიურ დონეზეც. ამ კონფლიქტში სულეიმანი ცდილობდა ირანის შიიტური გავლენის შეკავებას და სუნიტური დომინანტობის გაფართოებას ახლო აღმოსავლეთში (Savory 1980).

გარდა სამხედრო კამპანიებისა, სულეიმანი იყენებდა დიპლომატიურ და ადმინისტრაციულ მეთოდებსაც დაპყრობილი ტერიტორიების მართვისათვის. მისი ლაშქრობის შედეგად ოსმალეთმა გაიმყარა თავისი პოზიცია მესოპოტამიასა და სპარსეთის დასავლეთ ნაწილში, რამაც დიდი გავლენა იქონია რეგიონული გეოპოლიტიკის ფორმირებაზე. სულეიმანის ლაშქრობა სპარსეთში აღინიშნება, როგორც ოსმალეთის იმპერიის ძლიერებისა და ექსპანსიის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სამხედრო კამპანია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ რუკაზე ოსმალეთის გავლენისა და დიდი ზომის განმტკიცებაში.

რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება

რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება იყო ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი კონფლიქტი ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა რეგიონული და გლობალური ძალთა ბალანსი. ეს დაპირისპირება ეფუძნებოდა, როგორც ტერიტორიულ, ისე რელიგიურ და გეოპოლიტიკურ ინტერესებთა წინააღმდეგობებს.

რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიები არაერთხელ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით XVIII და XIX საუკუნეებში. ოსმალეთი, რომელიც უკვე სუსტდებოდა, იყო მრავალეროვანი და მრავალრელიგიური იმპერია, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან ახლო აღმოსავლეთამდე და ჩრდილოეთ აფრიკამდე ვრცელდებოდა. რუსეთი კი იმპერიული ამბიციების მქონე სახელმწიფოს სახით ცდილობდა თავისი გავლენის გაფართოებას, განსაკუთრებით მართლმადიდებელი სლავებით დასახლებულ რეგიონებში და შავი ზღვის აუზში. დაპირისპირების ძირითადი მიზეზი იყო ტერიტორიული ამბიციები, განსაკუთრებით შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონებში. რუსეთი მიზნად ისახავდა შავი

ზღვის სამხრეთ სანაპიროებისა და სტრატეგიული სრუტეების (ბოსფორი და დარდანელი) კონტროლს (Seton-Watson 1967), რათა თავისუფლად გასულიყო ხმელთაშუა ზღვაზე და გაეძლიერებინა ეკონომიკური და სამხედრო პოზიციები. გარდა ამისა, რუსეთს სურდა მართლმადიდებელი ქრისტიანების დაცვა ოსმალეთის იმპერიაში, სადაც ისინი ხშირად განიცდიდნენ დისკრიმინაციას. ამ ფაქტორმა რუსეთის პოლიტიკა კიდევ უფრო გაამყარა, როგორც ერთგვარი მფარველი ძალისა მართლმადიდებელ თემებზე, განსაკუთრებით ბალკანეთის რეგიონში. რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება მუდმივად იწვევდა დიდი ევროპული სახელმწიფოების ჩარევას (Seton-Watson 1967).

ბრიტანეთი და ავსტრია-უნგრეთი შეშფოთებული იყვნენ რუსეთის მზარდი გავლენით კავკასიასა და ბალკანეთში და შესაბამისად, ცდილობდნენ ძალთა ბალანსის შენარჩუნებას რეგიონში. მათი მონაწილეობა ცხადად განსაზღვრავდა დაპირისპირების საბოლოო შედეგებს. რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ განვითარებას XVIII-XIX საუკუნეებში. მართალია, კონფლიქტის ძირითადი ეპიცენტრი კავკასია და ბალკანეთი იყო, თუმცა მისმა პირდაპირმა შედეგებმა და გლობალურმა გამოძახილმა დიდი გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის რეგიონზეც, როგორც სტრუქტურულად, ისე პოლიტიკურად. პირველ რიგში, დაპირისპირებამ დაასუსტა ოსმალეთის იმპერიის მმართველობა აღნიშნულ რეგიონში. ოსმალები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში აკონტროლებდნენ ახლო აღმოსავლეთის დიდ ნაწილს, იძულებულნი გახდნენ, ყურადღება მიეპყროთ ჩრდილოეთის ფრონტზე რუსეთთან ბრძოლისთვის, რის შედეგადაც შემცირდა მათი გავლენა არაბულ პროვინციებზე, მათ შორის სირიასა და მესოპოტამიაში.

სწორედ ეს სუსტი ცენტრალიზაცია გახდა XIX საუკუნის ბოლოს არაბულ ელიტებში ავტონომიისკენ სწრაფვის გაძლიერების საფუძველი. მეორე მხრივ, რუსეთის გაფართოებამ სამხრეთ კავკასიაში მას მისცა უშუალო გეოგრაფიული წვდომა ირანთან და ლევანტთან. აღნიშნული რეგიონი, ამიერკავკასია, ირანი და ჩრდილო მესოპოტამია იქცა რუსული დიპლომატიური და სავაჭრო აქტივობის მნიშვნელოვან სივრცედ. ამის შედეგად გაძლიერდა რუსეთის დიპლომატიური გავლენა სირიაში, ლიბანში და ისლამურ სამყაროში, რომლებიც ოსმალეთისგან დაშორების პროცესში იყვნენ. გარდა ამისა, რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება ასახავდა მართლმადიდებლობისა და ისლამის დაპირისპირების პოლიტიკურ ნარატივს, რაც რეალურ გავლენას ახდენდა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის დაძაბულობაზე რეგიონში. საბოლოო ჯამში, რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებამ დააჩქარა იმპერიული წესრიგის რღვევის პროცესი რეგიონში და წვლილი შეიტანა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში XX საუკუნის დასაწყისში.

რუსეთის იმპერია

რუსეთის იმპერიის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში გრძელვადიან და მიზანმიმართულ ხასიათს ატარებდა. იმპერიამ XVIII-XIX საუკუნეებიდან დაიწყო აქტიური ჩართულობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ სივრცეში, რომლის მიზანი იყო, როგორც ტერიტორიული გაფართოება, ასევე სტრატეგიული გავლენის განმტკიცება შავი ზღვის სამხრეთით, კავკასიასა და სპარსეთის მიმართულებით. ეს პოლიტიკა რამდენიმე ცენტრალურ ასპექტზე იყო დაფუძნებული: ბრძოლა სრუტეებისთვის, ოსმალეთის იმპერიასთან დაპირისპირება, ირანის მიმართულებით ექსპანსია და კონკურენცია ბრიტანეთთან ე.წ. „დიდ თამაშში“.

სრუტეების სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთის იმპერიის პოლიტიკაში

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, ე.წ. „შავი ზღვის კარიბჭე“, რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ობიექტს წარმოადგენდა. ეს სრუტეები აკავშირებდა შავ ზღვას ხმელთაშუა ზღვასთან და მათი კონტროლი რუსეთისთვის ნიშნავდა საერთაშორისო ვაჭრობის გახსნასა და სამხედრო გავლენის გაძლიერებას სამხრეთის მიმართულებით (Seton-Watson 1967). რუსეთის ეკონომიკური ინტერესი ამ სრუტეებზე ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან ჩამოყალიბდა. შავი ზღვისპირეთში განვითარებული სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მარცვლეულის წარმოება, საჭიროებდა საზღვაო გზით ექსპორტს ევროპულ ბაზრებზე. სრუტეების საშუალებით რუსეთი ახორციელებდა ექსპორტს ხმელთაშუა ზღვისა და დასავლეთ ევროპის მიმართულებით. ნებისმიერი შეზღუდვა ოსმალეთის ან სხვა ძალების მხრიდან რუსეთისთვის პირდაპირი ეკონომიკური ზიანი იყო. გარდა ეკონომიკური ინტერესებისა, სრუტეებს უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. რუსეთის ფლოტის გასვლა მსოფლიო ოკეანეზე სწორედ ამ გზით უნდა განხორციელებულიყო. იმპერია, რომელიც გეოგრაფიულად ნაწილობრივ იზოლირებული იყო, ცდილობდა ხელში ჩაეგდო ეს „გადამწყვეტი წერტილები“. ამის ნათელი მაგალითია რუსეთ-ოსმალეთის არაერთი ომი და დიპლომატიური ზეწოლა XIX საუკუნის განმავლობაში.

რუსეთი ცდილობდა ამ სრუტეებზე საერთაშორისო გარანტიების მიღებას ან საჭიროების შემთხვევაში, უშუალო კონტროლის დამყარებას. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ 1833 წლის უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება (Seton-Watson 1967), რომელიც რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის დაიდო და რუსეთისთვის სრუტეებზე ფაქტობრივ მონოპოლიას უზრუნველყოფდა. ამ ყოველივემ გამოიწვია დასავლეთის სახელმწიფოების მკვეთრი პროტესტი. ამგვარად, ნათლად იკვეთება, რომ სრუტეები წარმოადგენდა რუსეთის სამხრეთისკენ მიმართული სტრატეგიის ბირთვს, რომელშიც ეკონომიკური ინტერესები, სამხედრო მიზნები და გეოპოლიტიკური მისწრაფებები ერთიანდებოდა.

რუსეთის ექსპანსია სამხრეთ კავკასიასა და ირანში – გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერია ძალიან გააქტიურდა სამხრეთის მიმართულებით, კავკასიისა და ირანში, რაც ახლო აღმოსავლეთისთვის გადამწყვეტი გეოპოლიტიკური ცვლილებების მიზეზი გახდა. რუსეთის ეს ექსპანსია არ იყო მხოლოდ ტერიტორიული დაპყრობის სურვილით ნაკარნახევი, არამედ ეფუძნებოდა სტრატეგიულ მიზნებს: ახლო აღმოსავლეთში გავლენის მოპოვებას, ოსმალეთისა და ბრიტანეთის წინააღმდეგ პოზიციური უპირატესობის დამყარებასა და „დიდ თამაშში“ როლის განმტკიცებას. რუსეთის ექსპანსია სამხრეთ კავკასიაში დაიწყო XVIII საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებული ინტენსივობა შეიძინა XIX საუკუნის დასაწყისში. ქართული სამეფო-სამთავროების - ქართლის, კახეთის, იმერეთისა და სხვა - რუსეთთან ფორმალური მიერთება მას საშუალებას აძლევდა სამხრეთით გადაადგილებოდა და სამხედრო-დიპლომატიური წნეხი განეხორციელებინა, როგორც ოსმალეთზე, ისე ირანზე.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია ნიშნავდა რუსეთის უშუალო გასვლას ირანის საზღვართან, რამაც სწრაფად გამოიწვია რუსეთ-ირანის ომები. რუსეთმა ომებში დაამარცხა ირანი 1804–1813 და 1826-1828 წლებში. შედეგად, გაფორმდა ორი კრიტიკული ხელშეკრულება, გულისტანის (1813) და თურქმენჩაის (1828) ზავები. ამ ხელშეკრულებებით რუსეთმა ანექსია მოახდინა თანამედროვე აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილზე, ერევანსა და ნახიჩევანზე, რაც სრულად ცვლიდა ძალთა ბალანსს რეგიონში. ეს ომები არა მხოლოდ ირანის სამხედრო სისუსტეს წარმოაჩენდა, არამედ აჩვენებდა,

რომ რუსეთი უკვე იქცა ახლო აღმოსავლეთის აქტორად. ირანისთვის ეს ტერიტორიული დანაკარგები ნიშნავდა იმპერიული თვითშეგნების შესუსტებას და ეროვნულ პრესტიჟზე დარტყმას.

რუსეთმა რეგიონში შექმნა სერიოზული სამხედრო და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, რამაც განაპირობა მისი მუდმივი ყოფნა კავკასიის სამხრეთსა და ახლო აღმოსავლეთის საზღვარზე. რუსეთის ექსპანსიამ ირანის მიმართულებით გაზარდა ბრიტანეთის შიში, რადგან ეს ინდოეთის უსაფრთხოებას ემუქრებოდა. შედეგად, გაძლიერდა ბრიტანული აქტიურობა ირანში, ლონდონი ცდილობდა სპარსელთა მხარდაჭერით შეეზღუდა რუსეთის წინსვლა და საკუთარი გავლენა განემტკიცებინა სპარსეთის ყურისა და სამხრეთ ირანის რეგიონში. ასე დაიწყო ე.წ. „დიდი თამაში“, რომლის ფარგლებშიც ახლო აღმოსავლეთი გადაიქცა სტრატეგიულ ველად ორი იმპერიის, რუსეთისა და ბრიტანეთისთვის (Hopkirk 1990). ამ ფონზე, რუსეთმა არა მხოლოდ ტერიტორიული ზონები მოიპოვა, არამედ გაზარდა თავისი პოლიტიკური კავშირები ირანის ჩრდილოეთში მცხოვრებ აზერბაიჯანულ და სომხურ მოსახლეობასთან, რაც ხელს უწყობდა მის რბილ გავლენას და კულტურულ გაფართოებასაც. რუსეთის გამყარებამ სამხრეთ კავკასიაში და ირანის ჩრდილოეთ ნაწილში გააღრმავა დესტაბილიზაცია მთელ რეგიონში. ის უპირისპირდებოდა როგორც ოსმალეთის ინტერესებს (მაგალითად, სომხეთის საკითხში), ისე ირანის შიდა ბალანსს. რუსეთმა აქტიურად დაიწყო შიიტურ და სუნიტურ ჯგუფებს შორის ბალანსის მანიპულაცია და გააძლიერა რელიგიური დაყოფის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის. ეს ექსპანსია გამოირჩეოდა იმითაც, რომ შექმნა გეოგრაფიული, სამხედრო და კულტურული ხიდი რუსეთის იმპერიასა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონს შორის, რაც მოგვიანებით დაედო საფუძვლად რუსეთის პოლიტიკურ ჩარევას სირიასა და ლევანტშიც.

დასკვნა

სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა რეგიონის ისტორიულ განვითარებას, ძალთა ბალანსს და გეოპოლიტიკურ კონფიგურაციას. სამივე იმპერია, ერთმანეთის კონკურენტიც და გავლენის მაძიებელიც, მიზნად ისახავდა სტრატეგიული ტერიტორიების კონტროლს, სავაჭრო გზებზე ხელმისაწვდომობასა და რეგიონული უპირატესობის გამყარებას.

მაშასადამე, ამ იმპერიების პოლიტიკამ და დაპირისპირებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა რეგიონში არსებული იმპერიული წესრიგის რღვევის პროცესი და საფუძველი დაუდო ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე სახელმწიფოთა წარმოშობასა და კონფლიქტურ სტრუქტურას. მათი მემკვიდრეობა დღესაც აისახება რეგიონული დაძაბულობებისა და გავლენების კომპლექსურ რეალობაში.